საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 757-03
18/04/2024

**სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის დებულების დამტკიცების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მაკა ლაშხიას 2024 წლის 17 აპრილის №6930-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

**ვბრძანებ**

1. დამტკიცდეს „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „მუსიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" შემოქმედებითი ტურის დებულება" დანართის მიხედვით.

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების ატვირთვა შიდასაუნივერსიტეტო პროგრამა „კოდექსში".

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, იურიდიულ სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი